პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის _____ ოქტომბერი; ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 თებერვლის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 თებერვლის N3 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 15/02/2023, სარეგისტრაციოკოდი: 010250050.35.132.016578) და განაშენიანების დეტალური გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

განემარტოს შპს „გრინკოს'' (ს/N445487492), რომ საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტი შეთანხმების ეტაპზე საჭიროა განხორციელდეს წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმის შეთანხმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან, წინააღმდეგ შემთხვევაში დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმა გამოცხადდება ძალადაკარგულად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ ირაკლი თავდგირიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 თებერვლის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 თებერვლის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილების მიღება.

2023 წლის 13 თებერვალს ქ.ბათუმის საკრებულოს დადგენილება N3-ით დამტკიცებულია განაშენიანების დეტალური გეგმა, რომელიც შპს "გრინკო"-ის (ს.კ.445487492) ინიცირებით მომზადდა და მის საკუთრებაში მიწის ნაკვეთზე კ2 კოეფიციენტის გაზრდას ისახავდა მიზნად. ზემოთაღნიშნული გდგ-თი ქ.ბათუმში რუსთაველის ქ. 21-ში მდებარე შპს "გრინკო"-ს მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.22.12.029) დადგინდა კ1-07, კ2-8.0, კ3-0,2; დადგინდა პარკინგების რაოდენობა 26 ერთეული და დადგინდა შენობის განთავსების კონტური. შენობის ძირითადი ნაწილის სიმაღლე განისაზღვრა 40 მეტრით, 11 სართული; შენობის ბოლო შეტეხილი 2 სართულის სიმაღლე განისაზღვრა - 46 მეტრით, 13 სართული. შპს „გრინკო"ითხოვს დამტკიცებულ გდგ-ში ცვლილებების შეტანას. აღნიშნული ცვლილება არ ეხება და უცვლელად ტოვებს საპროექტო შენობის ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა კოეფიციენტები კ1, კ2 და კ3, ბოლო მე-13 სართულის ჭერის სიმაღლე, სართულების რაოდენობა. გდგ-ში ცვლილებების შეტანა განპირობებულია იმით, რომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული მრავალსართულიანი სახლის ღიობების გათვალისწინება მოხდეს, შესაბამისად დასაზუსტებელია შენობის კონფიგურაცია და ასევე სახურავზე ტექნიკური კომპონენტებისათვის საჭირო სიმაღლის დაზუსტება. კომპანიას სურვილი აქვს ცვლილებები შეიტანოს გდგ-ში და შეცვალოს: - დააკორექტიროს შენობის კონტური (მოაკლოს გვერდითა უკანა მხრიდან და მიაახლოოს უკანა საზღვართან); - გადაანაწილოს მიწისქვეშა/მიწისზედა პარკირების რაოდენობები; - მოეწყოს ტერასა (მე-13 სართულის ჭერის ფილაზე), სადაც განლაგებულია ლიფტის და სავენტილაციო სისტემის შახტები, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემისათვის საჭირო აგრეგატები და მათ შესაფუთად

განკუთვნილი მსუბუქი დეკორაციული კონსტრუქცია, პერგოლა. - დაზუსტდეს ბოლო ორი სართულის შეტეხვა

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**